

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის

ანგარიშგებები დამოუკიდებელი აუდიტორის

დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. ამონაგები რეალიზაციიდან	11
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	11
7. კომერციული ხარჯები	11
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
9. საპროცენტო შემოსავალი	12
10. საპროცენტო ხარჯები.....	12
11. (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან.....	12
12. ძირითადი საშუალებები.....	13
13. ინვესტიციები.....	14
14. მარაგები	14
15. გადასახადები.....	14
16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	15
17. ფული და ფულის ექვივალენტები.....	15
18. კაპიტალი	15
19. მოკლევადიანი სესხები	16
20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
21. პირობითი ვალდებულებები.....	16
22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	17
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	17

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.....	19
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	20
3. სუბიექტის განვითარების გეგმები.....	21
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	21
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	21
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.....	21
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „თ & რ დისტრიბუშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერებს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „თ & რ დისტრიბუშენ“-ის და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში „ჯგუფის“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 19-23 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობა ვალდებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ჯგუფს განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან სს „თჯრ დისტრიბუშენ“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან

დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

1 ოქტომბერი, 2024

თბილისი, საქართველო

დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

1 ოქტომბერი, 2024

თბილისი, საქართველო

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	5	163,619	202,519
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(138,325)	(173,632)
საერთო მოგება		25,294	28,887
კომერციული ხარჯები	7	(13,280)	(8,328)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(6,630)	(6,354)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		463	367
საოპერაციო მოგება		5,847	14,572
საპროცენტო შემოსავალი	9	46	182
საპროცენტო ხარჯი	10	(640)	(914)
წმინდა (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	11	(275)	1,013
მოგება დაბეგვრამდე		4,978	14,853
მოგების გადასახადის ხარჯი		(265)	(418)
წლის სრული შემოსავალი		4,713	14,435

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს:

სოფიო ავალიანი
დირექტორი


ნანა ორკოდაშვილი
ფინანსური დირექტორი


სს „თ & რ დისტრიბუშენ“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	5	163,619	202,519
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(138,325)	(173,632)
საერთო მოგება		25,294	28,887
კომერციული ხარჯები	7	(13,280)	(8,328)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(6,630)	(6,354)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		463	367
საოპერაციო მოგება		5,847	14,572
საპროცენტო შემოსავალი	9	46	182
საპროცენტო ხარჯი	10	(640)	(914)
წმინდა (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	11	(275)	1,013
მოგება დაბეგვრამდე		4,978	14,853
მოგების გადასახადის ხარჯი		(265)	(418)
წლის სრული შემოსავალი		4,713	14,435

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს:


სოფიო ავალიანი
დირექტორი


ნანა ორკოდაშვილი
ფინანსური დირექტორი

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	12	8,006	7,927
არამატერიალური აქტივები		84	84
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	13	350	218
სხვა ინვესტიციები	13	509	509
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,949	8,738
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	14	19,900	18,617
საგადასახადო აქტივი	15	1,852	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	5,359	7,582
გაცემული სესხები		-	637
ფული და ფულის ექვივალენტები	17	2,893	4,822
სულ მიმდინარე აქტივები		30,004	31,658
სულ აქტივები		38,953	40,396
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	18	-	-
გაუნაწილებელი მოგება	18	24,011	20,827
სულ კაპიტალი		24,011	20,827
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	19	6,500	9,528
საგადასახადო ვალდებულება	15	-	5,097
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	8,442	4,944
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14,942	19,569
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		38,953	40,396

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31 დეკემბერი 2021	-	8,758	8,758
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	14,435	14,435
ოპერაციები დამფუძნებლებთან:			
დივიდენდების გამოცხადება	-	(2,366)	(2,366)
31 დეკემბერი 2022	-	20,827	20,827
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი	-	4,713	4,713
ოპერაციები დამფუძნებლებთან:			
დივიდენდების გამოცხადება	-	(1,503)	(1,503)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაციების შედეგი	-	(26)	(26)
31 დეკემბერი 2023	-	24,011	24,011

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	4,978	14,853
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორიზაცია	1,191	907
საპროცენტო შემოსავალი	(46)	(182)
საპროცენტო ხარჯი	640	914
უიმედო და საექვო ვალების ანარიცხის ზრდა/(შემცირება)	190	(31)
სხვა არაფულადი ხარჯები	(15)	(78)
საკურსო ზარალი/(მოგება) სავალუტო ოპერაციებიდან	275	(1,013)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	7,213	15,370
სამუშაო კაპიტალის კორექტირებამდე		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	(1,282)	(6,177)
ცვლილებები დებიტორულ და სხვა მიმდინარე დავალიანებებში	2,033	(981)
ცვლილებები საგასახადო აქტივში	(1,852)	(2,528)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ და სხვა მიმდინარე დავალიანებებში	3,387	54
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(5,097)	5,130
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	4,402	10,868
დაბეგვრამდე და პროცენტებამდე		
გადახდილი მოგების გადასახადი	(265)	(418)
გადახდილი პროცენტი	(640)	(914)
საოპერაციო აქტივობებიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	3,497	9,536
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(1,260)	(1,513)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(9)	(33)
გაცემული სესხის უკან მიღება	22	4
ინვესტიციები	(132)	(218)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,379)	(1,760)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(828)	(1,615)
აღებული სესხი	(3,028)	(2,409)
დამფუძნებელთან განხორციელებული ოპერაცია	(26)	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან	(3,882)	(4,024)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	(1,764)	3,752
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4,822	1,297
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(166)	(227)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,892	4,822

1. კორპორატიული ინფორმაცია

სს „თ & რ დისტრიბუშენ“ (შემდგომში კომპანია) როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაარსდა საქართველოში 2006 წლის 15 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 202311738. 2019 წლის 2 თებერვალს განხორციელდა კომპანიის რეორგანიზაცია დახურულ სააქციო საზოგადოებად.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია, ისევე როგორც მისი შვილობილები, ძირითადად ჩართულია პროდუქციის საქართველოში იმპორტსა და საბითუმო რეალიზაცია/დისტრიბუციაში. ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სიგარეტების და სანთებლების იმპორტი და დისტრიბუცია საცალო მოვაჭრეებზე.

2022 წლის თებერვალში, უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის გამო, შეიზღუდა პროდუქციის მოწოდება ძირითადი მომწოდებლისგან, შესაბამისად მოხდა ალტერნატიული მომწოდებლების მოძიება და პროდუქცია შემოდის უზბეკეთიდან, აზერბაიჯანიდან და ჩინეთიდან.

საზოგადოების მმართველობითი ორგანოებია: საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორები.

საერთო კრება შედგება აქციონერებისაგან და იგი იღებს გადაწყვეტილებებს ყველა სტრატეგიულ მიმართულებასთან დაკავშირებით, მათ შორის განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოს უფლებამოსილებას. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ათავისუფლებს, ასევე აკონტროლებს დირექტორის საქმიანობას. საზოგადოებას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ჭირნახულის ქ. N2 კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის იმავე მისამართზე.

ჯგუფის სტრუქტურა. კომპანიის შვილობილებს წარმოადგენენ შემდეგი საწარმოები (ერთად „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2023	2022
შპს „თ & რ დისტრიბუშენ აჭარა“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს „თ & რ დისტრიბუშენ იმერეთი“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს „თ & რ დისტრიბუშენ კახეთი“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს „თ & რ დისტრიბუშენ ხაშური“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს „თ & რ დისტრიბუშენ“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%
შპს „ბეტა“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%	100%

2022 წლის განმავლობაში შვილობილმა კომპანიებმა: შპს „თ & რ დისტრიბუშენ აჭარამ“, შპს „თ & რ დისტრიბუშენ იმერეთმა“, შპს „თ & რ დისტრიბუშენ ხაშურმა“, შპს „თ & რ დისტრიბუშენ კახეთმა“, და შპს „ბეტამ“ (2019 წელი) შეწყვიტეს საქმიანობა და მათ ნაცვლად ოპერირება განაგრძო მშობელმა კომპანიამ.

კომპანიის მეწილეები: საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მშობელი კომპანიის მესაკუთრეთა წილობრივი სტრუქტურა არ შეცვლილა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში იყო შემდეგი:

- რაფიელ სურამელაშვილი 50%
- თემურ ჭყონია 50%

საქართველოს ბიზნეს გარემო. ჯგუფი საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის. საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

კონსოლიდაციის საფუძველი. წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ამავე პერიოდის ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები. შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შემენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შემენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალისტური შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შემენის თარიღისთვის შემენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია. მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, სხვა საოპერაციო ხარჯები, რომლებიც წინა პერიოდში წარმოდგენილი იყო განცალკევებულ მუხლად, მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილია საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილად. მენეჯმენტის შეფასებით, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილად წარდგენა უფრო რელევანტური და შესაბამისია ჯგუფისთვის. აღნიშნული მუხლის ჯამური ოდენობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეკლასიფიცირებულია და შეადგენს 148 ლარს.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, სხვა მიმდინარე მოთხოვნები, რომლებიც წინა პერიოდში წარმოდგენილი იყო განცალკევებულ მუხლად, ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაწილად. აღნიშნული მუხლი მიმდინარე პერიოდში არ წარმოადგენს არსებით მუხლს, შესაბამისად, მენეჯმენტის შეფასებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაწილად წარდგენა უფრო რელევანტური და შესაბამისია ჯგუფისთვის. აღნიშნული მუხლის ჯამური ოდენობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეკლასიფიცირებულია და შეადგენს 5,301 ლარს.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები, რომლებიც წინა პერიოდში წარმოდგენილი იყო განცალკევებულ მუხლად, ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაწილად. აღნიშნული მუხლი მიმდინარე პერიოდში არ წარმოადგენს არსებით მუხლს, შესაბამისად, მენეჯმენტის შეფასებით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ნაწილად წარდგენა უფრო რელევანტური და შესაბამისია ჯგუფისთვის. აღნიშნული მუხლის ჯამური ოდენობა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეკლასიფიცირებულია და შეადგენს 1,277 ლარს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ჯგუფის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყველა თანხის შეგროვებას თანხის ანაზღაურების მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ინვესტიციები. არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებში და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციები აღიარდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შედის მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული მასალები და შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ ჯგუფს შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა ძირითად საშუალებად აღიარების შეწყვეტა.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები და ნაგებობები	8-30
საოფისე ინვენტარი და სხვა აქტივები	2-15
სატრანსპორტო საშუალებები	3-15
თაროები	3-5

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს სავაჭრო უფლებებს და სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
სხვა	10 წელი

მარაგები. ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ჯგუფს. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იხვერება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- **საქონლის გაყიდვა.** გაყიდვა აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, ანუ როდესაც საქონელი მიეწოდება მომხმარებელს. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი მიწოდებული იქნება კონკრეტულ ადგილზე და საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაეცემა მომხმარებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. სხვა შემოსავალი მოიცავს ისეთ შემოსულობას, რომელიც არ წარმოიქმნება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, ასეთი შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ხდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში.

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში;
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის;
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში;
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ.

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და ჯგუფის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციებს.

5. ამონაგები რეალიზაციიდან

	2023	2022
ამონაგები სიგარეტის რეალიზაციიდან	159,104	199,534
ამონაგები სანთებლების რეალიზაციიდან	2,175	1,729
ამონაგები სხვა საქონლის რეალიზაციიდან*	2,340	1,256
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	163,619	202,519

*ამონაგები სხვა საქონლის რეალიზაციიდან მოიცავს სხვადასხვა საკვები პროდუქციის რეალიზაციას, რომელთა გაყიდვებიც ჯგუფმა აქტიურად დაიწყო შვილობილი კომპანიის შპს „თ & რ დისტრიბუშენ“-ის მეშვეობით.

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2023	2022
რეალიზებული სიგარეტის თვითღირებულება	(134,866)	(170,519)
რეალიზებული სანთებლების თვითღირებულება	(1,641)	(2,271)
რეალიზებული სხვა საქონლის თვითღირებულება	(1,818)	(842)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(138,325)	(173,632)

7. კომერციული ხარჯები

	2023	2022
მარკეტინგული ხარჯი	(7,456)	(3,934)
ხელფასები და სხვა სარგებელი	(3,693)	(2,596)
ცვეთის ხარჯი	(1,041)	(655)
საწვავის ხარჯი	(680)	(779)
ავტომობილის მომსახურების ხარჯები	(344)	(344)
იჯარის ხარჯი	(66)	(20)
სულ კომერციული ხარჯები	(13,280)	(8,328)

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ხელფასები და სხვა სარგებელი	(3,757)	(4,104)
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	(560)	(458)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	(190)	-
საკონსულტაციო ხარჯები	(428)	(273)
დაზღვევა	(174)	(153)
კომუნალური ხარჯები	(160)	(164)
ცვეთა და ამორტიზაცია	(150)	(252)
დაცვის ხარჯი	(107)	(82)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(82)	(57)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(62)	(62)
იჯარის ხარჯი	(7)	(47)
სხვა ხარჯები	(953)	(702)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(6,630)	(6,354)

9. საპროცენტო შემოსავალი

	2023	2022
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი	41	172
იურიდიულ პირზე გაცემული სესხებიდან მიღებული შემოსავალი	5	10
სულ საპროცენტო შემოსავალი	46	182

10. საპროცენტო ხარჯები

	2023	2022
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი ბანკიდან მიღებულ სესხებზე	(638)	(903)
სხვა	(2)	(11)
სულ საპროცენტო ხარჯები	(640)	(914)

11. (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან

	2023	2022
ფული და ფულის ეკვივალენტები	(166)	(227)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(109)	1,240
სულ (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	(275)	1,013

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები და ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	თაროები	საოფისე ინვენტარი და სხვა აქტივები	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2021	1,618	1,968	1,822	2,333	688	8,429
შემოსვლა წლის განმავლობაში	226	453	891	894	166	2,630
გასვლა	(348)	(318)	(401)	(78)	(164)	(1,309)
31 დეკემბერი 2022	1,496	2,103	2,312	3,149	690	9,750
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	125	723	543	73	1,464
გასვლა	-	-	(379)	-	(8)	(387)
31 დეკემბერი 2023	1,496	2,228	2,656	3,692	755	10,827
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2021	-	(213)	(512)	(249)	(368)	(1,342)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(73)	(242)	(515)	(77)	(907)
გასვლა	-	127	156	35	108	426
31 დეკემბერი 2022	-	(159)	(598)	(729)	(337)	(1,823)
წლის დარიცხული ცვეთა	-	(77)	(297)	(722)	(82)	(1,178)
გასვლა	-	-	173	-	7	180
31 დეკემბერი 2023	-	(236)	(722)	(1,451)	(412)	(2,821)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	1,496	1,944	1,714	2,420	353	7,927
31 დეკემბერი 2023	1,496	1,992	1,934	2,241	343	8,006

ჯგუფის ძირითადი საშუალებები სრულად არის ჩადებული სესხების უზრუნველყოფაში თიბისი ბანკის სასარგებლოდ.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 161 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები სრულად იყო გაცვეთილი და გამოიყენებოდა ჯგუფის საქმიანობაში (2022: 139 ლარი).

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. ინვესტიციები

კომპანია	წილი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სხვა ინვესტიციები - სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი“	15.85%	509	509
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში - შპს „ვანფრაიზ რითეილ გრუფ ჯორჯია“	21%	350	218
სულ ინვესტიციები		859	727

ჯგუფი მსს ფასს-ის შესაბამისად ინვესტიციების აღრიცხვის მიზნით იყენებს შემდეგ მიდგომას: - თვითღირებულება, გაუფასურების ზარალის გამოკლებით;

ჯგუფი ახორციელებს ინვესტიციებს სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესში“. სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესის“ ძირითადი საქმიანობაა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე მიკრო სესხები გაცემა. აქციების პირველი პაკეტის შეძენა ჯგუფის მიერ მოხდა 2012 წელს და შემდგომ ეტაპობრივად ხორციელდებოდა დამატებით აქციების შეძენა. 2023 წლის განმავლობაში ჯგუფს სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესში“ დამატებით ინვესტიცია არ განუხორციელებია.

2022 წლის განმავლობაში ჯგუფმა განახორციელა ინვესტირება შპს „ვანფრაიზ რითეილ გრუფ ჯორჯია“-ში და ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის ფლობს 21%-ს. შპს „ვანფრაიზ რითეილ გრუფ ჯორჯია“-ს ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საცალო ვაჭრობა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პროდუქციით. 2023 წლის განმავლობაში ჯგუფმა შპს „ვანფრაიზ რითეილ გრუფ ჯორჯია“-ში დამატებით განახორციელა 132 ლარის ინვესტიცია.

14. მარაგები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სიგარეტი	14,659	15,545
ელექტრო სიგარეტი	2,681	1,519
სანთებელა	1,228	226
სხვა	1,332	1,327
სულ მარაგები	19,900	18,617

15. გადასახადები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
მოთხოვნები მიწოდებიდან	5,117	2,648
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(538)	(367)
ფინანსური აქტივები, ნეტო	4,579	2,281
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	751	5,299
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	86	40
	837	5,339
ანარიცხი უიმედო და საექვო გადახდილ ავანსებზე	(57)	(38)
არაფინანსური აქტივები, ნეტო	780	5,301
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	5,359	7,582

უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვის მოძრაობა:

	ფინანსური აქტივები	სხვა აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2021	(398)	(38)	(436)
საექვო და უიმედო ვალების ანარიცხის შემცირება	31	-	31
31 დეკემბერი 2022	(367)	(38)	(405)
საექვო და უიმედო ვალების ანარიცხის ზრდა	(171)	(19)	(190)
31 დეკემბერი 2023	(538)	(57)	(595)

17. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფული საბანკო ანგარიშზე	2,667	4,643
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	214	14
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	12	165
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,893	4,822

18. კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

საზოგადოების კაპიტალი შეადგენს 200 ლარს და დაყოფილია 100 ჩვეულებრივ და 100 პრივილეგირებულ აქციადა. ერთი ჩვეულებრივი აქციის ფასი არის 1 ლარი, ასევე ერთი პრივილეგირებული აქციის ფასი არის 1 ლარი (თანხები მითითებულია ერთეულ ლარებში).

თითო ჩვეულებრივი აქცია მის მფლობელს ანიჭებს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე. პრივილეგირებული აქციის მფლობელს საერთო კრებაზე არ გააჩნია ხმის უფლება.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. კაპიტალი (გაგრძელება)

2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ისევე როგორც ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის ჯგუფის მეწილეები არიან: რაფიელ სურამელაშვილი (50%) და თემურ ჭყონია (50%), რომლებზეც თანაბრად არის განაწილებული ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციები.

დივიდენდები

2023 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა და გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 1,503 ლარი. (2022: 2,366 ლარი)

19. მოკლევადიანი სესხები

	პროცენტი	ვალუტა	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
საბანკო დაწესებულებებიდან აღებული სესხები	რეფინანსირების განაკვეთს + 4%	ლარი	2024	6,500	9,528

ჯგუფი ბანკთან ურთიერთობისას წარმოადგენს „კოკა-კოლას ჯგუფში შემავალ კომპანიას“, შესაბამისად, ხელშეკრულებით განსაზღვრულია შესასრულებელი ვალდებულებები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს მთლიანად ამ კომპანიების ჯგუფმა. სესხი უზრუნველყოფილია „კოკა-კოლას ჯგუფში შემავალ კომპანიების/ფიზიკური პირების“ ქონებით.

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო ვალდებულებები	8,055	4,557
საპენსიო ვალდებულებები	116	84
მიღებული ავანსები	71	53
სხვა	200	250
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,442	4,944

21. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება ჯგუფის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

22. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობა	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	დამფუძნებელი	41	172
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები		1,814	1,591

ნაშთები დამფუძნებლებთან

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გაცემული სესხები	დამფუძნებელი	-	637

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე ჯგუფმა გასცა 622 ლარის ოდენობის დივიდენდი.

ჯგუფმა განახორციელა დამატებით 100 ლარის ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში შპს „ვანფრაიზ რითეილ გრუპ ჯორჯია“-ში.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული
მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

სს „თ & რ დისტრიბუცია“ რომელიც არის სააქციო საზოგადოება და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფი“) რომლებიც არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, დაარსებული არიან და მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სს „თ & რ დისტრიბუშენ“ დაფუძნდა და საქმიანობა დაიწყო 2006 წელს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „თ & რ დისტრიბუშენ“-ის მესაკუთრეები არიან რაფიელ სურამელაშვილი (50%) და თემურ ჭყონია (50%).

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თამბაქოს ნაწარმის, სანთებლების და კვების პროდუქტების დისტრიბუცია და რეალიზაცია მთელი საქართველოს მასშტაბით.

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

ჯგუფის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის თბილისზე (67%). საქართველოს რეგიონებში მომარაგება და რეალიზაცია, 2022 წლიდან ხორციელდება მშობელი კომპანიის მიერ, რომელსაც, საქმიანობის მასშტაბის შესაბამისად, გააჩნია საკუთარი ლოჯისტიკური ცენტრი და სადისტრიბუციო/სარეალიზაციო ხაზები.

ამონაგები კატეგორიების მიხედვით:

პროდუქტის სახეობა	2023	2022	ცვლილება %
ამონაგები სიგარეტის რეალიზაციიდან	159,104	199,534	-20%
ამონაგები სანთებლების რეალიზაციიდან	2,175	1,729	26%
ამონაგები სხვა საქონლის რეალიზაციიდან (ა)	2,340	1,256	86%
სულ ამონაგები რეალიზაციიდან	163,619	202,519	

(ა) ჯგუფმა აქტიურად დაიწყო საკვები პროდუქტების იმპორტი და დისტრიბუცია. აღნიშნულ მიმართულებაზე სპეციალიზებულია ერთ-ერთი შვილობილი კომპანია- შპს „თ & რ დისტრიბუშენ“.

კომპანიის სტრუქტურა.

საზოგადოების მმართველობის ორგანოებია:

ა) საერთო კრება;

ბ) სამეთვალყურეო საბჭო;

გ) დირექტორები;

სამეთვალყურეო საბჭო წესდების შესაბამისად შედგება სამი წევრისგან: რაფიელ სურამელაშვილი; თემურ ჭყონია და ნიკა ზაუტაშვილი.

წესდების მიხედვით, საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევასა და გამოწვევაზე.

კომპანიის დირექტორი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ასევე ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე არის სოფიო ავალიანი.

წესდების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს.

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ჯგუფის შესახებ (გაგრძელება)

სს „თ & რ დისტრიბუშენ“ თავის მხრივ ფლობს შემდეგ კომპანიებში წილებს:

კომპანიის დასახელება	საქმიანობის ტიპი	წილი
შპს „თ & რ დისტრიბუცია აჭარა“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
შპს „თ & რ დისტრიბუცია იმერეთი“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
შპს „თ & რ დისტრიბუცია ხაშური“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
შპს „თ და რ დისტრიბუშენ“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
შპს „ბეტა“	დისტრიბუცია/რეალიზაცია	100%
სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ალფა ექსპრესი“	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	15.85%
შპს „ვანფრაიზ რითეილ გრუპ ჯორჯია“	საცალო ვაჭრობა	21%

2022 წლის განმავლობაში შვილობილმა კომპანიებმა შპს "თ & რ დისტრიბუშენ აჭარამ", შპს "თ & რ დისტრიბუშენ იმერეთმა", შპს "თ & რ დისტრიბუშენ ხაშურმა", შპს "თ & რ დისტრიბუშენ კახეთმა", და შპს "ბეტამ" (2019 წელი) შეწყვიტეს საქმიანობა.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2023 წლის შემოსავალმა შეადგინა 163,619 ლარი, ჯგუფის შემოსავლები 2023 წელს წინა წელთან შედარებით შემცირდა 19%-ით, რაც ძირითადად გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ საქართველოში თამბაქოს ნაწარმზე მოთხოვნა მცირდება, თუმცა ამავე დროს იზრდება მოთხოვნა ელექტრო სიგარეტებზე.

ძირითადი კოეფიციენტები:

	2023	2022
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.68	0.67
მოგების მარჟა	15%	14%
უკუგება კაპიტალზე (ROCE)	0.21	0.71
სულ აქტივები	38,953	40,396
სულ შემოსავლები	163,619	202,519
დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი	191	142

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: ჯგუფში 2023 წელს დასაქმებულების საშუალო რაოდენობა იყო 191 (2022: 142). ჯგუფს აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

როგორც დამქირავებელი, პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს ეძლევათ კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობა, საქმიანი სამუშაო გარემო და კონკურენტუნარიანი ხელფასი.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

ჯგუფი ახორციელებს პროდუქციის შესყიდვას და დისტრიბუციას საქართველოს მასშტაბით როგორც დიდ ქსელებზე, ასევე ბითუმად მოვაჭრეებზე და უზნის მაღაზიებზე.

2022 წლის თებერვალში, უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიის გამო, ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება პროდუქციის ალტერნატიული მიმწოდებლების მოძიებაზე, ვინაიდან ჯგუფის ერთპიროვნულმა მიმწოდებელმა, დროებით შეწყვიტა მუშაობა. ჯგუფმა მალევე შეძლო ალტერნატიული მიმწოდებლების მოძიება, კერძოდ პროდუქცია შემოაქვს უზბეკეთიდან, აზერბაიჯანიდან და ჩინეთიდან.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: ჯგუფი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

ჯგუფის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

ამავდროულად იმის ხაზგასმა, რომ მომხმარებლებს იგი სთავაზობს სანდო მწარმოებლების მიერ დამზადებულ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, რომელსაც ბაზარზე გააჩნია მაღალი ცნობადობა. კომპანია 2022 წლიდან მომხმარებლებს სთავაზობს ელექტრო სიგარეტების ფართო ასორტიმენტს და აღნიშნული მიმართულებით ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარებისათვის მიმდინარეობს დამატებით აქტიური მუშაობა.

მუდმივად ცვალებადი ბაზრის პირობებში ჯგუფი ინარჩუნებს დისტრიბუციის მაღალ ეფექტურ ფოკუსს რათა უზრუნველყოს გაყიდვების მაქსიმიზაცია, საუკეთესო ბრენდები სხვადასხვა საფასო სეგმენტებში უზრუნველყოფს ჯგუფის პროდუქციის მაღალ პოპულარობას და გაყიდვების სტაბილურობას.

ჯგუფი მუშაობს იმისათვის რომ შეინარჩუნოს მომხმარებელთან საკომუნიკაციო არხები რათა მოხდეს ინოვაციური პროდუქციაზე ინფორმაციის ეფექტური მიწოდება, განსაკუთრებით ეხება მომავალ ნაკლებ რისკიანი პროდუქციის შეთავაზებას, რასაც აქვს დიდი წარმატება დასავლეთის ბაზრებზე.

არსებული მძიმე რეგულირების და დიდი კონკურენციის პირობებში დისტრიბუციის კადრების განვითარებას აქვს კრიტიკული მნიშვნელობა, რისთვისაც დაგეგმილია განვითარების პროგრამები.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2023 წელს ჯგუფი არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2023 წელს არ მომხდარა ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2023	2022	გადახრის ახსნა
საერთო მოგება	25,294	28,887	შენიშვნა 1
მარაგები	19,900	18,617	შენიშვნა 2
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,359	7,582	შენიშვნა 3
საგადასახადო აქტივი/ვალდებულება	1,852	(5,097)	შენიშვნა 4

შენიშვნა #1:

2022 წელს, უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, კომპანიამ სწრაფად მოახერხა ადაპტირება და მინიმალურ დროში მოიძია ალტერნატიული მომწოდებლები, შესაბამისად კომპურენტული უპირატესობა მოიპოვა კომპანიამ, რაც აისახა შედეგებში. 2023 წელს შედარებით დასტაბილურდა ბაზარი და საერთო მოგების მაჩვენებელიც უზრუნდება სტაბილურ ნიშნულს.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები (გაგრძელება)

შენიშვნა #2:

მარაგების ზრდა გამოიწვია ჯგუფის მიერ ახალი პროდუქტის, ელექტრონული სიგარეტის ფართო ასორტიმენტის დამატებამ.

შენიშვნა #3:

ჯგუფმა გაზარდა იმ მომხმარებელთა რიცხვი, რომლებსაც ეთანამშრომლება კონსიგნაციის პირობით. შესაბამისად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლი გაზრდილია წინა საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით.

შენიშვნა #4:

2022 წლის დეკემბრის თვეში ჯგუფის მიერ სიგარეტების მომწოდებელ კომპანიასთან ფოსტის საშუალებით გაგზავნილი სააქციო მარკები ტრანსპორტირებისას დაიკარგა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დადგენილი და გადახდილი იქნა აქციის გადასახადი. ხელშეკრულების მიხედვით, აღნიშნული ზარალის ანაზღაურება წარმოადგენდა სატრანსპორტო კომპანიის ვალდებულებას. შესაბამისად, ჯგუფმა აღიარა შესაბამისი მოთხოვნა, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,941 ლარს.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

ჯგუფი საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2023	2022
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,695	3,736
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	30.5	25
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	8,210.1	6,731.2
მშპ-ის რეალური ზრდა, %	7.5%	11%
საშუალო წლიური ინფლაცია	2.5%	11.9%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,594.7	2,097.9
უმუშევრობის დონე, %	16.4%	17.3%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები. ჯგუფს გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ჯგუფი საკრედიტო რისკს არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკად, რადგან მომხმარებელს უმეტეს შემთხვევაში არ სთავაზობს პროდუქციის კრედიტით გაყიდვებს, მაქსიმალური საკრედიტო ლიმიტი კი შეადგენს ერთ კვირას. ჯგუფს შენარჩუნებული აქვს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და დაცულია არახელსაყრელი საკრედიტო რისკის ეფექტისაგან.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში რაც წარმოიქმნება უცხოური მომწოდებლისგან წარმოებული შესყიდვებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად ჯგუფი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს:

სოფიო ავალიანი
დირექტორი

ნანა ორკოდაშვილი
ფინანსური დირექტორი

სს „თ & რ დისტრიბუშენ“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.


სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში რაც წარმოიქმნება უცხოური მომწოდებლისგან წარმოებული შესყიდვებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად ჯგუფი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს:



სოფიო ავალიანი
დირექტორი



ნანა ორკოდაშვილი
ფინანსური დირექტორი